ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 301

"30" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №1, შენობა-ნაგებობა №1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №1, შენობა-ნაგებობა №1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 21 ივნისის №23.902.1004 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა №1, შენობა-ნაგებობა №1, მე-II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 202.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, საქართველოს გენერალთა კლუბის განთავსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული

განკარგულების დანართი №2-ის სახით განსაზღვრული „უსასყიდლო უზუფრუქტის პირობები“-ის შესაბამისად.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე